

საქართველოს ფიზიკური
აღზრდისა და სპორტის
სახელმწიფო სასწავლო
უნივერსიტეტი



GEORGIAN STATE
TEACHING UNIVERSITY OF
PHYSICAL EDUCATION AND
SPORT

ქ. თბილისი

„19“ სექტემბერი “ 2016 წელი

ბრძანება № 01-34

აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 34-ე მუხლის, 35-ე მუხლის 1, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 პუნქტების, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 25-ე მუხლის 1-2-4 პუნქტებისა და 26-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

2016 წლის 19 სექტემბრიდან გამოცხადდეს ღია კონკურსი საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტში შემდეგ აკადემიურ თანამდებობებზე:

1. ასოცირებული პროფესორი 1 (ერთი) ადგილი - საერთაშორისო სპორტის დიპლომატიური საფუძველები
2. ასისტენტ პროფესორი 1 (ერთი) ადგილი - სპეციალობა რაგბი

ასოცირებულ პროფესორად 4 (ოთხი) წლის ვადით შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება.

კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება საკონკურსო კომისიის სახელზე;

ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

0162 ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. № 49 ტელ.: +995 32 2250040

49 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia Tel: +995 32 2250040

www.sportuni.ge

გ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი;

დ) სამსახურებრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა, შრომის წიგნაკის ასლი და სხვ.);

ე) CV;

ვ) სილაბუსი

ზ) ორი ფოტო სურათი (ზომით 3X4);

თ) ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია, სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობა.

კონკურსის შედეგები გამოცხადდეს 2016 წლის 4 ნოემბერს.

რექტორი, პროფესორი



ჯემალ ძაგანია